ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
სამართლის სკოლა
საფეხური მაგისტრატურა

სილაბუსი

1.	სასწავლო კურსის დასახელება	პრაქტიკული კომპონენტი - იურიდიული კლინიკა
2.	სასწავლო კურსის ხანგრძლივობა	1 სემესტრი
3.	კრედიტების რაოდენობა	18 ECTS კრედიტი
4.	საათების განაწილება (ლექცია, სემინარი, პრაქტიკული, ლაბორატორიული სამუშაო, შუალედური შეფასება, საბოლოო შეფასება, დამოუკიდებელი სამუშაო და ა.შ.)	<u>68 საკონტაქტო საათი:</u> • პრაქტიკული მეცადინეობა -60 • ლექცია 4 • დასკვნითი გამოცდა - 4 <u>დამოუკიდებელი სამუშაო - 382 სთ.</u>
5.	ლექტორი	**სახელი:** ამირან მეშველიშვილი - კურსის ხელმძღვანელი **აკადემიური ხარისხი:** სამართლის მაგისტრი, **ტელეფონის ნომერი:** +995577661682 **ელექტრონული ფოსტა:** amiran.meshvelishvili@iliauni.edu.ge **სახელი:** გიორგი გლაზოვი - კურსის ხელმძღვანელის თანაშემწე **აკადემიური ხარისხი:** სამართლის მაგისტრი, **ტელეფონის ნომერი:** +995577385885 **ელექტრონული ფოსტა:** giorgi.glazovi@iliauni.edu.ge ლაშა კალანდაძე, ზაზა მეიშვილი ლექტორთან ინდივიდუალური კონსულტაციები ინიშნება სტუდენტის მხრიდან შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში, მათ შორის პროგრამა არგუსის საშუალებით.
6.	სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები	წინამდებარე სასწავლო კურსზე სტუდენტის დაშვებას წინაპირობა არ აქვს.
7.	სწავლა-სწავლების მეთოდი	▪ <u>დისკუსია/დებატები</u> ▪ <u>ჯგუფური მუშაობა</u> ▪ <u>პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)</u> ▪ <u>ევრისტიკული მეთოდი</u> ▪ <u>შემთხვევის ანალიზი (Case study)</u> ▪ <u>გონებრივი იერიში (Brain storming)</u> ▪ <u>დემონსტრირების მეთოდი (პრეზენტაცია)</u>

		▪ <u>ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი:</u> ↝ <u>სწავლების ინდუქციური მეთოდი</u> ↝ <u>სწავლების დედუქციური მეთოდი</u>
8.	სასწავლო კურსის მიზანი	<u>კურსის მიზანი არის:</u> სასწავლო კურსის მიზანია, სტუდენტს გაცნოს სამოსამართო ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხები, ჩამოუყალიბდეს პრაქტიკული უნარები კერძო სამართლის მიმართულებით, რაც მას მისცემს საშუალებას იმუშაოს იურიდიულ დოკუმენტებზე, აგრეთვე რეალურ კლიენტებთან ურთიერთობის გზით შეძლოს საკუთარი ცოდნის პრატქიკაში გამოყენება.
9.	ძირითადი თემები	<u>იურიდიული დოკუმენტაციის შედგენა:</u> ხელშეკრულებები: • აღნაგობა • იპოთეკა • ლიზინგი • სესხი • უზუფრუქტი • ნასყიდობა წესდებები: • შპს • სს • კს საპროცესო დოკუმენტების შედგენა: • სარჩელი • შესაგებელი • საჩივარი (სააპელაციო და საკასაციო) <u>იურიდიული დოკუმენტაციის ანალიზი</u> <u>პრაქტიკული ქეისების განხილვა</u>
10.	სწავლის შედეგები და კომპეტენციები	აღწერს სამოსამართლო ეთიკის წესებს, მათ შორის მოსამართლის საზოგადოებასთან კომუნიკაციის საკითხებსა და მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების თავისებურებებს. აქვს კერძო სამართლის სფეროში იურისტის მიერ სამართლებრივი

<table>
<tr>
<td></td>
<td></td>
<td>
დოკუმენტების შედგენის ღრმა და სისტემური ცოდნა, რაც აძლევს კერძო სამართლის დოკუმენტების შედგენისას წარმოშობილი პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობას.
აანალიზებს კერძო სამართალში მოქმედ კანონმდებლობას, სასამართლო პრაქტიკას, საკანონმდებლო ნოვაციებს და შეუძლია სამართლებრივი პრობლემების კომპლექსური შეფასება და პრობლემების გადაწყვეტის ორიგინალური გზების შემუშავება. პოულობს სამართლებრივ ხარვეზებს, რთულ პრობლემებს და აყალიბებს მათი გადაწყვეტის ახალ, ორიგინალური გზებს; განმარტავს სამართლის ნორმებს და იყენებს პროფესიულ საქმიანობაში.
</td>
</tr>
<tr>
<td>11.</td>
<td>შეფასების წესი</td>
<td>
შეფასება 100 ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. ქულები გადანაწილდება და ისაზღვრება შემდეგნაირად:
<table>
<tr><td>(A) 91-100 ფრიადი</td></tr>
<tr><td>(B) 81-90 ძალიან კარგი</td></tr>
<tr><td>(C) 71-80 კარგი</td></tr>
<tr><td>(D) 61-70 დამაკმაყოფილებელი</td></tr>
<tr><td>(E) 51-60 საკმარისი</td></tr>
<tr><td>(FX) 41-50 ვერ ჩააბარა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;</td></tr>
<tr><td>(F) 0-40 ჩაიჭრა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</td></tr>
</table>
FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.
შუალედურ შეფასებაში (იურიდიული დოკუმენტების შედგენა, იურიდიული დასკვნების მომზადება, წერითი დავალება, (იურიდიული კონსულტაცია - რეალურ კლიენტთან ურთიერთობის ფარგლებში), აქტივობა) სტუდენტმა უნდა მიიღოს მინიმუმ 31 ქულა, რომ დაშვებულ იქნას დასკვნით გამოცდაზე. დასკვნით გამოცდაზე სტუდენტმა უნდა მიიღოს მინიმუმ 10 ქულა.
დასკვნითი გამოცდი (სიმულაციური ქეისი).
<u>ინფორმაცია შუალედური და ფინალური გამოცდის ჩატარების</u>
შეფასების კომპონენტები
<table>
<tr><td>იურიდიული დოკუმენტების შედგენა. (სულ 4 დოკუმენტი)</td><td>20%</td><td>(30 ქულა)</td></tr>
<tr><td>იურიდიული დასკვნების მომზადება (სულ 4 დასკვნა)</td><td>20%</td><td>(30 ქულა)</td></tr>
<tr><td>წერითი დავალება</td><td>10 %</td><td>(10 ქულა)</td></tr>
<tr><td>საპროცესო დოკუმენტის მომზადება (2 დოკუმენტი)</td><td>10%</td><td>(10 ქულა)</td></tr>
</table>
</td>
</tr>
</table>

აქტივობა (მოტივაცია, დისციპლინა)	**10%**	**(10 ქულა)**
დასკვნითი გამოცდა (სიმულაციური ქეისი)	**30%**	**(30 ქულა)**

<u>**შეფასების კრიტერიუმები**</u>

მაგისტრანტებისათვის შეფასების მიღების აუცილებელი სტანდარტები - პრაქტიკის კურსის ყოველი კომპონენტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ სტანდარტებს:

ა. იურიდიული დასკვნისათვის - მაგისტრანტის მიერ მომზადებული დასკვნა უნდა იყოს ამომწურავი და ასახავდეს არსებულ იურიდიულ პრაქტიკას. გადმოცემული ინფორმაცია უნდა იყოს უტყუარი და ადვილად აღსაქმელი არაპროფესიონალისათვის.

შეფასების აღწერა:

5 ქულა - იურიდული დასკვნა ამომწურავია, სრულიად შეესაბამება არსებულ კანონმდებლობასა და პრაქტიკას.

4 ქულა - იურიდიული დასკვნა კარგია, მაქსიმალურად მიახლოებულია ამომწურავთან.

3 ქულა - იურიდიული დასკვნა მისაღებია, თუმცა არასრული.

2 ქულა - იურიდიული დასკვნა შეიცავს სასარგებლო ინფორმაციას, თუმცა მისი არსებული სახით პრაქტიკაში გამოყენება არ შეიძლება.

1 ქულა - იურიდიული დასკვნის დიდი ნაწილი მცდარია, მცირე ნაწილი შეიცავს საჭირო ინფორმაციას.

0 ქულა - იურიდიული დასკვნა მცდარია.

ბ. იურიდიული დოკუმენტისათვის - მომზადებული შაბლონი ვარგისი უნდა იყოს მისი პრაქტიკაში გამოსაყენებლად.

შეფასების აღწერა:

5 ქულა - მომზადებული შაბლონი ვარგისია პრაქტიკაში გამოსაყენებლად.

4 ქულა - მომზადებული შაბლონი მცირე კორექტირების შემდეგ ვარგისია პრაქტიკაში გამოსაყენებლად.

3 ქულა - მომზადებული შაბლონის მნიშვნელოვანი ნაწილი შეესაბამება საჭირო მოთხოვნებს, თუმცა დანარჩენი საფუძვლიან კორექტირებას საჭიროებს.

2-1 ქულა - შაბლონის მნიშვნელოვანი ნაწილი საჭიროებს კორექტირებას, ხოლო მცირე ნაწილი შეესაბამება დავალების მოთხოვნებს.

0 ქულა - შაბლონი საერთოდ არ აკმაყოფილებს დავალების მოთხოვნებს.

		გ. აქტივობისთვის - მაგისტრანტი სრულყოფილად არის ჩართული პრაქტიკულ მუშაობაში, იჩენს დაინტერესებას სწავლისადმი, არის ინიციატივიანი, დაკისრებულ დავალებებს ასრულებს დროულად. შეფასების აღწერა: **10 ქულა** - მაგისტრანტი სასწავლო პროცესში სრულად არის ჩართული, იჩენს დაინტერესებას და ინიციატივას, შესაბამისად სრულად აკმაყოფილებს აქტივობისათვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **7-9 ქულა** - მაგისტრანტი უმეტესწილად ჩართულია სასწავლო პროცესში, ამჟღავნებს დაინტერესებას სწავლისადმი და უმეტესად აკმაყოფილებს აქტივობისათვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **4-6 ქულა** - მაგისტრანტი სრულად არ არის ჩართული სასწავლო პროცესში, მაგრამ ამჟღავნებს ინტერესს სწავლისადმი და ნაწილობრივ აკმაყოფილებს აქტივობისათვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **1-3 ქულა** - მაგისტრანტი სუსტად არის ჩართული სასწავლო პროცესში, მისი ინტერესი სწავლისადმი მცირეა, მცირედ აკმაყოფილებს აქტივობისათვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **0 ქულა** - მაგისტრანტი არ არის ჩართული სასწავლო პროცესში და არ აქვს სწავლისადმი ინტერესი, არ აკმაყოფილებს აქტივობისათვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ე.** დასკვნითი შეფასებისათვის - ხელმძღვანელი მაგისტრანტს სასწავლო კურსის ბოლო კვირას აძლევს პრაქტიკულ დავალებას (სიმულაციური ქეისი), მაგისტრანტმა უნდა მოძებნოს მისი გადაწყვეტის შესაბამისი გზა და დეტალურად დაასაბუთოს მისი მიზანშეწონილობა. შეფასების აღწერა: **30 ქულა** - სრულად აანალიზებს კერძო სამართალში მოქმედ კანონმდებლობას, სასამართლო პრაქტიკას, საკანონმდებლო ნოვაციებს და შეუძლია სამართლებრივი პრობლემების კომპლექსური შეფასება და პრობლემების გადაწყვეტის ორიგინალური გზების შემუშავება. პოულობს სამართლებრივ ხარვეზებს, რთულ პრობლემებს და აყალიბებს მათი გადაწყვეტის ახალ, ორიგინალურ გზებს; განმარტავს სამართლის ნორმებს და იყენებს პროფესიულ საქმიანობაში. **25 – 29 ქულა** - მეტნაკლებად აანალიზებს კერძო სამართალში მოქმედ კანონმდებლობას, სასამართლო პრაქტიკას, საკანონმდებლო ნოვაციებს და შეუძლია სამართლებრივი პრობლემების კომპლექსური შეფასება და პრობლემების გადაწყვეტის ორიგინალური გზების შემუშავება. პოულობს სამართლებრივ ხარვეზებს, რთულ პრობლემებს და აყალიბებს მათი გადაწყვეტის ახალ, ორიგინალური გზებს; განმარტავს სამართლის ნორმებს და იყენებს პროფესიულ საქმიანობაში. **20 – 24 ქულა** - მეტნაკლებად აანალიზებს კერძო სამართალში მოქმედ კანონმდებლობას, სასამართლო პრაქტიკას, საკანონმდებლო ნოვაციებს და ნაწილობრივ შეუძლია სამართლებრივი პრობლემების

		კომპლექსური შეფასება და პრობლემების გადაწყვეტის ორიგინალური გზების შემუშავება. პოულობს სამართლებრივ ხარვეზებს, რთულ პრობლემებს და აყალიბებს მათი გადაწყვეტის ახალ, ორიგინალური გზებს; განმარტავს სამართლის ნორმებს და იყენებს პროფესიულ საქმიანობაში. **15 – 19 ქულა** - ნაწილობრივ აანალიზებს კერძო სამართალში მოქმედ კანონმდებლობას, სასამართლო პრაქტიკას, , საკანონმდებლო ნოვაციებს და ფრაგმენტულად შეუძლია სამართლებრივი პრობლემების კომპლექსური შეფასება და პრობლემების გადაწყვეტის ორიგინალური გზების შემუშავება. პოულობს სამართლებრივ ხარვეზებს, რთულ პრობლემებს და აყალიბებს მათი გადაწყვეტის ახალ, ორიგინალური გზებს; განმარტავს სამართლის ნორმებს და იყენებს პროფესიულ საქმიანობაში. **10 – 14 ქულა** - ფრაგმენტულად აანალიზებს კერძო სამართალში მოქმედ კანონმდებლობას, სასამართლო პრაქტიკას, საკანონმდებლო ნოვაციებს და უჭირს სამართლებრივი პრობლემების კომპლექსური შეფასება და პრობლემების გადაწყვეტის ორიგინალური გზების შემუშავება. ფრაგმენტულად პოულობს სამართლებრივ ხარვეზებს, რთულ პრობლემებს და აყალიბებს მათი გადაწყვეტის ახალ, ორიგინალური გზებს; განმარტავს სამართლის ნორმებს და იყენებს პროფესიულ საქმიანობაში. სიმულაციური ქეისი ნაწილობრივ გადაწყვეტილი და დასაბუთებულია კარგად, თუმცა დასკვნების და დასაბუთების ნაწილი არასწორია. **5-9 ქულა-** სიმულაციური ქეისის გადაწყვეტის გზის მხოლოდ ნაწილია სწორი, ხოლო დიდი ნაწილი მცდარია. მცირედა აანალიზებს კერძო სამართალში მოქმედ კანონმდებლობას, სასამართლო პრაქტიკას, საკანონმდებლო ნოვაციებს და ფრაგმენტულად შეუძლია სამართლებრივი პრობლემების კომპლექსური შეფასება და პრობლემების გადაწყვეტის ორიგინალური გზების შემუშავება. შექმნისას პოულობს სამართლებრივ ხარვეზებს, რთულ პრობლემებს და აყალიბებს მათი გადაწყვეტის ახალ, ორიგინალური გზებს; განმარტავს სამართლის ნორმებს და იყენებს პროფესიულ საქმიანობაში. **1-4 ქულა** - სიმულაციური ქეისის გადაწყვეტის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია სწორი, ხოლო დანარჩენი სრულიად მცდარია. **0 ქულა** - სიმულაციური ქეისის ამოხსნა სრულიად მცდარია. **წერითი დავალება 12 ქულა: (მოცემულია კაზუსის სახით)** 10-9 ქულა - პასუხი სრულია, საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული. იურიდიული ტერმინოლოგია დაცულია. სრული სიზუსტით აღწერს სამოსამართლო ეთიკის წესებს, მათ შორის მოსამართლის საზოგადოებასთან კომუნიკაციის საკითხებსა და მოსამართლეთა დისციპლინური სამართლაწარმოების თავისებურებებს. 8-7 ქულა - პასუხი სრულია, თუმცა შეკვეცილი. ტერმინოლოგიურად გამართულია. არსებითი შეცდომა არ არის. მეტნაკლები სიზუსტით აღწერს სამოსამართლო ეთიკის წესებს, მათ შორის მოსამართლის საზოგადოებასთან კომუნიკაციის საკითხებსა და მოსამართლეთა დისციპლინური სამართლაწარმოების თავისებურებებს

		6-5 ქულა - პასუხი არასრულია, იურიდიული ტერმინოლოგია ნაკლოვანია. ნაკლოვანებებით აღწერს სამოსამართლო ეთიკის წესებს, მათ შორის მოსამართლის საზოგადოებასთან კომუნიკაციის საკითხებსა და მოსამართლეთა დისციპლინური სამართლაწარმოების თავისებურებებს. 4-3 ქულა - პასუხი არასრულია, იურიდიული ტერმინოლოგია მცდარია. ფრაგმენტულად აღწერს სამოსამართლო ეთიკის წესებს, მათ შორის მოსამართლის საზოგადოებასთან კომუნიკაციის საკითხებსა და მოსამართლეთა დისციპლინური სამართლაწარმოების თავისებურებებს 2-1 ქულა - პასუხი ნაკლოვანია, იურიდიული ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული. პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები. 0 ქულა - პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული. **იურიდიული კონსულტაცია** **5 ქულა** - კონსულტაცია სრულყოფილია. **4 ქულა** - კონსულტაცია კარგია, მაგრამ საჭიროებს მცირე დამატებას ან/და კორექტირებას. **3 ქულა** - კონსულტაციის ნაწილი კარგია, თუმცა მნიშვნელოვანი ნაწილი საჭიროებს მცირე დამატებას ან/და კორექტირებას. **2-1 ქულა** - კონსულტაციის მხოლოდ მცირე ნაწილი აკმაყოფილებს მის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. **0 ქულა** - კონსულტაცია მთლიანად მცდარია. **საპროცესო დოკუმენტი** **5 ქულა** - საპროცესო დოკუმენტი სრულად აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს. **4 ქულა** - საპროცესო დოკუმენტი აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს, თუმცა საჭიროებს მცირე კორექტირებას ან/და დამატებას. **3 ქულა** - საპროცესო დოკუმენტი უმეტესად აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს, თუმცა საჭიროებს შესწორებას. **1-2 ქულა** - საპროცესო დოკუმენტის ნაწილი აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს, თუმცა მისი მნიშვნელოვანი ნაწილი საჭიროებს კორექტირებას. **0 ქულა** - საპროცესო დოკუმენტი მთლიანად შეცდომით არის მომზადებული.

დასამუშავებელი თემების არჩევა - მაგისტრანტი კურსის თითოეული კომპონენტის ფარგლებში დასამუშავებელ თემას ირჩევს კურსის ხელმძღვანელის მითითებით და მასთან შეთანხმებით სასწავლო გეგმის შესაბამისად.

გარდა მითითებული აქტივობებისა, სამართლის კლინიკა უფასო იურიდიულ მომსახურებას უწევს მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს. იურიდიული მომსახურება მოიცავს:

1. იურიდიული კონსულტაცია.
2. დოკუმენტაციის ანალიზი.
3. იურიდიული დოკუმენტის შედგენა.
4. საპროცესო დოკუმენტების შედგენა.

სტუდენტის მიერ მოქალაქეებთან დაკავშირებული მომსახურება ფასდება ქვემოთ ჩამოთვლილი ქულების შესაბამისად (თუ შესაბამისი რაოდენობის კლიენტი არ იქნა, სტუდენტი ფასდება ჩვეულებრივი წესით, სილაბუსით გათვალისწინებული კომპონენტების შესაბამისად)

იურიდიული მომსახურების შეფასების კომპონენტები

იურიდიული დოკუმენტების შედგენა. (სულ 3 დოკუმენტი)	**15%**	**(15 ქულა)**
წერითი დავალება	**10%**	**(10 ქულა)**
იურიდიული დოკუმენტების ანალიზი (სულ 3 დასკვნა)	**15%**	**(15 ქულა)**
საპროცესო დოკუმენტი (2 დოკუმენტი)	**10%**	**(10 ქულა)**
იურიდიული კონსულტაცია (სულ 4 კონსულტაცია)	**20%**	**(20 ქულა)**
დასკვნითი გამოცდა (სიმულაციური ქეისი)	**30%**	**(30 ქულა)**

შენიშვნა: იურიდიული მომსახურება ანაცვლებს სალექციო კურსის პერიოდში გათვალისწინებულ დავალებებს. მაგისტრანტი, რომელიც უწევს უფასო იურიდიულ დახმარებას კლინიკის კლიენტს, თავისუფლდება შესაბამისი დავალების შესრულების ვალდებულებისაგან და შეფასების ქულებს აგროვებს გაწეული მომსახურების ხარისხის მიხედვით. შესაძლებელია ქულების მოგროვება როგორც სალექციო პერიოდისათვის გათვალისწინებული დავალებებით, ასევე იურიდიული მომსახურებით, ან ორივე გზით ერთდროულად, იმ პირობით, რომ შესრულებული დავალებების შესაძლო ჯამური ქულა არ აღემატებოდეს ასს.

12.		
13.	თემატიკა	

კვირა 1.

იურიდიულ პირებს შორის უზუფრუქტის ხელშეკრულების შედგენა.

აღნაგობის ხელშეკრულების განხილვა და კონკრეტული მაგალითის ანალიზი.

სამუშაო განრიგი: პირველი სალექციო საათის განმავლობაში მაგისტრანტებს კლინიკის ხელმძღვანელი ან/და მისი თანაშემწე უხსნის უზუფრუქტის ხელშეკრულების შედგენის თავისებურებებს. მომდევნო საათის განმავლობაში მაგისტრანტები კლინიკის ხელმძღვანელის ან/და მისი თანაშემწის ზედამხედველობით ადგენენ უზუფრუქტის ხელშეკრულებას. შეხვედრის მესამე-მეოთხე საათის განმავლობაში განიხილება აღნაგობის ხელშეკრულება.

2 საათი - (საერთო ლექცია) - სამოსამართლო ეთიკა,

კვირა 2.

აღნაგობის ხელშეკრულების შედგენა ფიზიკურ და იურიდიულ პირს შორის.

იპოთეკის ხელშეკრულების განხილვა კონკრეტული მაგალითის მიხედვით.

სამუშაო განრიგი: პირველი სალექციო საათის განმავლობაში მაგისტრანტებს კლინიკის ხელმძღვანელი ან/და მისი თანაშემწე უხსნის აღნაგობის ხელშეკრულების შედგენის თავისებურებებს. მომდევნო საათის განმავლობაში მაგისტრანტები კლინიკის ხელმძღვანელის ან/და მისი თანაშემწის ზედამხედველობით ადგენენ აღნაგობის ხელშეკრულებას. შეხვედრის მესამე-მეოთხე საათის განმავლობაში განიხილება იპოთეკის ხელშეკრულება.

მოსამართლის საზოგადოებასთან ურთიერთობა, კაზუსების განხილვა – 2 საათი

მოსამართლეთა დისციპლინური სამართლაწარმოების თავისებურებები, კაზუსების განხილვა - 2 საათი

იურიდიული დოკუმენტის მომზადება - 5 ქულა

კვირა 3.

იპოთეკის ხელშეკრულების შედგენა ფიზიკურ და იურიდიულ პირს შორის.

შპს -ს, კს -ს, სს - ს წესდებების განხილვა.

სამუშაო განრიგი: პირველი სალექციო საათის განმავლობაში მაგისტრანტებს კლინიკის ხელმძღვანელი ან/და მისი თანაშემწე უხსნის იპოთეკის ხელშეკრულების შედგენის თავისებურებებს. მომდევნო საათის განმავლობაში მაგისტრანტები კლინიკის ხელმძღვანელის ან/და მისი თანაშემწის ზედამხედველობით ადგენენ იპოთეკის ხელშეკრულებას. შეხვედრის მესამე-მეოთხე საათის განმავლობაში განიხილება შპს- ს, კს-ს, სს-ს წესდებები.

იურიდიული დოკუმენტის მომზადება - 5 ქულა/იურიდიული კონსულტაცია

კვირა 4.

შპს -ს წესდების შედგენა.

ლიზინგის ხელშეკრულების განხილვა.

სამუშაო განრიგი: პირველი სალექციო საათის განმავლობაში მაგისტრანტებს კლინიკის ხელმძღვანელი ან/და მისი თანაშემწე უხსნის შპს-ს წესდების შედგენის თავისებურებებს. მომდევნო საათის განმავლობაში მაგისტრანტები კლინიკის ხელმძღვანელის ან/და მისი თანაშემწის ზედამხედველობით ადგენენ შპს-ს წესდებას. შეხვედრის მესამე-მეოთხე საათის განმავლობაში განიხილება ლიზინგის ხელშეკრულება.

წერითი დავალება - 10 ქულა

იურიდიული დოკუმენტის მომზადება - 5 ქულა

კვირა 5.

ლიზინგის ხელშეკრულების შეგენა.

სარჩელის შედგენისა და სასარჩელო მოთხოვნის დაყენების თავისებურებების განხილვა.

სამუშაო განრიგი: პირველი სალექციო საათის განმავლობაში მაგისტრანტებს კლინიკის ხელმძღვანელი ან/და მისი თანაშემწე უხსნის ლიზინგის ხელშეკრულების შედგენის თავისებურებებს. მომდევნო საათის განმავლობაში მაგისტრანტები კლინიკის ხელმძღვანელის ან/და მისი თანაშემწის ზედამხედველობით ადგენენ ლიზინგის ხელშეკრულებას. შეხვედრის მესამე-მეოთხე საათის განმავლობაში განიხილება საქართველოს საერთო სასამართლოს პირველ ინსტანციაში განსახილველი სარჩელის მომზადების თავისებურებები.~

იურიდიული დოკუმენტის მომზადება - 5 ქულა

კვირა 6.

სარჩელის შედგენა სახელშეკრულებო დავის მაგალითზე.

შესაგებელის განხილვა.

სამუშაო განრიგი: პირველი სალექციო საათის განმავლობაში მაგისტრანტებს კლინიკის ხელმძღვანელი ან/და მისი თანაშემწე უხსნის სასამართლოს პირველი ინსტანციისთვის სარჩელის შედგენის თავისებურებებს. მომდევნო საათის განმავლობაში მაგისტრანტები კლინიკის ხელმძღვანელის ან/და მისი თანაშემწის ზედამხედველობით ადგენენ სარჩელს კონკრეტული კაზუსის მიხედვით. შეხვედრის მესამე-მეოთხე საათის განმავლობაში განიხილება სასამართლოს პირველ ინსტანციაში შეტანილ სარჩელზე შესაგებელის შედგენის თავისებურებები.

კვირა 7.

შესაგებელის შედგენა.

სარჩელის შედგენა სააპელაციო სასამართლოში შესატანად.

სამუშაო განრიგი: პირველი სალექციო საათის განმავლობაში მაგისტრანტებს კლინიკის ხელმძღვანელი ან/და მისი თანაშემწე უხსნის სარჩელზე შესაგებელის შედგენის თავისებურებებს. მომდევნო საათის განმავლობაში მაგისტრანტები კლინიკის ხელმძღვანელის ან/და მისი თანაშემწის ზედამხედველობით ადგენენ შესაგებელს სარჩელზე. შეხვედრის მესამე-მეოთხე საათის განმავლობაში განიხილება სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისა და სარჩელის მომზადების თავისებურებები.

კვირა 8.

სააპელაციო სასამართლოში შესატანი სარჩელის შედგენა.

სამოქალაქო დავაზე სასამართლო განხილვის დროს შუამდგომლობების დაყენების თავისებურებების განხილვა კონკრეტული მაგალითების მიხედვით.

სამუშაო განრიგი: პირველი სალექციო საათის განმავლობაში მაგისტრანტებს კლინიკის ხელმძღვანელი ან/და მისი თანაშემწე უხსნის სააპელაციო სარჩელის შედგენის თავისებურებებს. მომდევნო საათის განმავლობაში მაგისტრანტები კლინიკის ხელმძღვანელის ან/და მისი თანაშემწის ზედამხედველობით ადგენენ სააპელაციო სარჩელს. შეხვედრის მესამე-მეოთხე საათის განმავლობაში განიხილება სასამართლო განხილვისას შუამდგომლობების დაყენების თავისებურებები.

საპროცესო დოკუმენტის მომზადება - 5 ქულა

კვირა 9.

საკასაციო საჩივრის შედგენა.

სააპელაციო სარჩელზე შესაგებელის შედგენა.

სამუშაო განრიგი: პირველი სალექციო საათის განმავლობაში მაგისტრანტებს კლინიკის ხელმძღვანელი ან/და მისი თანაშემწე უხსნის საკასაციო სარჩელის შედგენის თავისებურებებს. მომდევნო საათის განმავლობაში მაგისტრანტები კლინიკის ხელმძღვანელის ან/და მისი თანაშემწის ზედამხედველობით ადგენენ საკასაციო სარჩელს. შეხვედრის მესამე-მეოთხე საათის განმავლობაში განიხილება შესაგებელი სააპელაციო სარჩელზე.

კვირა 10.

შეგებებული სააპელაციო საჩივრის შედგენა.

საკასაციო შესაგებელის განხილვა.

სამუშაო განრიგი: პირველი სალექციო საათის განმავლობაში მაგისტრანტებს კლინიკის ხელმძღვანელი ან/და მისი თანაშემწე უხსნის შეგებებული სააპელაციო საჩივრის შედგენის თავისებურებებს. მომდევნო საათის განმავლობაში მაგისტრანტები კლინიკის ხელმძღვანელის ან/და მისი თანაშემწის ზედამხედველობით ადგენენ შეგებებულ სააპელაციო საჩივარს. შეხვედრის მესამე-მეოთხე საათის განმავლობაში განიხილება შესაგებელი საკასაციო სარჩელისათვის.

კვირა 11.

საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულების განხილვა.

სამუშაო განრიგი: პირველი სალექციო საათის განმავლობაში მაგისტრანტებს კლინიკის ხელმძღვანელი ან/და მისი თანაშემწე უხსნის იურიდიული დოკუმენტაციის ანალიზისა და სამართლებრივი დასკვნების მომზადებას. მომდევნო საათის განმავლობაში მაგისტრანტები კლინიკის ხელმძღვანელის ან/და მისი თანაშემწის ზედამხედველობით ახორციელებენ იურიდიული დოკუმენტაციის ანალიზს და წერენ

სამართლებრივ დასკვნას. შეხვედრის მესამე-მეოთხე საათის განმავლობაში განიხილება სესხის ხელშეკრულება.

იურიდიული დასკვნის მომზადება - 5 ქულა/იურიდიული კონსულტაცია

კვირა 12.

სესხის ხელშეკრულების შედგენა.

ინკოტერმსების განხილვა და მათი პრაქტიკაში გამოყენების მაგალითების მიმოხილვა.

სამუშაო განრიგი: პირველი სალექციო საათის განმავლობაში მაგისტრანტებს კლინიკის ხელმძღვანელი ან/და მისი თანაშემწე უხსნის სესხის ხელშეკრულების შედგენის თავისებურებებს. მომდევნო საათის განმავლობაში მაგისტრანტები კლინიკის ხელმძღვანელის ან/და მისი თანაშემწის ზედამხედველობით ადგენენ სესხის ხელშეკრულებას. შეხვედრის მესამე-მეოთხე საათის განმავლობაში განიხილება ინკოტერმსები.

იურიდიული დასკვნის მომზადება - 5 ქულა

კვირა 13.

საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულების შედგენა.

საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი დავების განხილვის თავისებურებები და უცხო ქვეყანაში მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოში ცნობის პრაქტიკა.

სამუშაო განრიგი: პირველი სალექციო საათის განმავლობაში მაგისტრანტებს კლინიკის ხელმძღვანელი ან/და მისი თანაშემწე უხსნის საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულების შედგენის თავისებურებებს. მომდევნო საათის განმავლობაში მაგისტრანტები კლინიკის ხელმძღვანელის ან/და მისი თანაშემწის ზედამხედველობით ადგენენ საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებას. შეხვედრის მესამე-მეოთხე საათის განმავლობაში განიხილება საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავების განხილვის თავისებურებები და უცხო ქვეყანაში მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების საქართველოში ცნობის საკითხები.

იურიდიული დასკვნის მომზადება - 5 ქულა

კვირა 14.

დოკუმენტალური აკრედიტივისა და დოკუმენტალური ინკასოს განხილვა.

სამუშაო განრიგი: პირველი სალექციო საათის განმავლობაში მაგისტრანტებს კლინიკის ხელმძღვანელი ან/და მისი თანაშემწე უხსნის დოკუმენტალური აკრედიტივისა და დოკუმენტალური ინკასოს პრაქტიკაში გამოყენების ხერხებსა და უპირატესობებს. მომდევნო საათის განმავლობაში მაგისტრანტები კლინიკის ხელმძღვანელის ან/და მისი თანაშემწის ზედამხედველობით ადგენენ საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებას დოკუმენტალური ინკასოს გამოყენებით. შეხვედრის მესამე-მეოთხე საათის განმავლობაში განიხილება ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის თავისებურებები.

იურიდიული დასკვნის მომზადება - 5 ქულა

კვირა 15.

კლინიკაში გავლილი პრაქტიკის შეჯამება და შეფასება.

გამარტივებული წარმოება.

უდავო წარმოება.

სამუშაო განრიგი: პირველი სალექციო საათის განმავლობაში მაგისტრანტებს კლინიკის ხელმძღვანელი ან/და მისი თანაშემწე უხსნის გამარტივებული წარმოების შინაარსსა და წესს. მომდევნო საათის განმავლობაში განიხილება უდავო წარმოების სპეციფიკა და წესი. შეხვედრის მესამე-მეოთხე საათის განმავლობაში მაგისტრანტები მუშაობენ დოკუმენტზე.

კვირა 16.

დასკვნითი გამოცდა.

შენიშვნა: შეხვედრების განმავლობაში დასაშვებია მოცემული გეგმის ცვლილება ან/და სწავლების ხანგრძლივობის კორექტირება სამართლის კლინიკის მიერ ფიზიკური თუ იურიდიული პირებისათვის იურიდიული დახმარების აღმოჩენის, შეხვედრის დღეებზე სახელმწიფო გამოსასვლელი დღეების დამთხვევის, ან/და სხვა მიზეზის არსებობისას, რაც მოითხოვს სასწავლო გეგმის ან სწავლების ხანგრძლივობის ცვლილებას.

მაგისტრანტების მიერ პრაქტიკული კურსის გავლის ფარგლებში დისციპლინის საკითხების შესახებ.

1. სამართლის კლინიკაში პრაქტიკული კურსის გავლის ფარგლებში კურსის უფლებამოსილია მაგისტრანტებს დაუწესოს მუშაობის როგორც საერთო სავალდებულო, ასევე ინდივიდუალური განაწესი, რაც მაგისტრანტებისათვის სავალდებულოდ შესასრულებელია.
2. კურსის ხელმძღვანელის მიერ მაგისტრანტებისათვის დავალებული სამუშაოს შესრულებისათვის დადგენილი ვადების არასაპატიოდ დარღვევა წარმოადგენს შესრულებული სამუშაოს არჩათვლის საფუძველს.
3. დაწესებული განაწესი შესაძლოა იყოს წერილობითი (ამობეჭდილი დოკუმენტის ან ელექტრონული შეტყობინების სახით) ან ზეპირი.
4. წერილობითი განაწესი მაგისტრანტის მიერ გაცნობილად ჩაითვლება მისი თვალსაჩინო ადგილას გამოკვრისთანავე იმ პირობით, რომ მაგისტრანტს შეეძლო მისი გაცნობა.
5. არგუსის პროგრამის მეშვეობით გაგზავნილი ელექტრონული შეტყობინების შინაარსი მაგისტრანტისათვის გაცნობილად ჩაითვლება მისი მიღებისთანავე.
6. ზეპირი მითითება ჩაითვლება გაცნობილად, თუკი მისი გაცემისას მაგისტრანტი იმყოფებოდა მითითების გაცემის ადგილზე.
7. მაგისტრანტებსა და კურსის ხელმძღვანელს შორის დისტანციური კომუნიკაციის საშუალებებს წარმოადგენს შეტყობინება არგუსის პროგრამის მეშვეობით. პირადი ან სამსახურებრივი ელ. ფოსტა შეიძლება კომუნიკაციის საშუალებად გამოყენებული იქნეს მხოლოდ ელექტრონული მასალის გაცვლის შემთხვევაში.
8. კურსის ხელმძღვანელის ან უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ გაგზავნილი შეტყობინება, რომელიც ეხება პრაქტიკული კურსის გავლის ან უნივერსიტეტის შინაგანაწესის, ასევე სხვა მსგავს საკითხებს, მაგისტრანტებისათვის სავალდებულოდ შესასრულებელია.
9. დაწესებული განაწესის დარღვევის შემთხვევაში, კურსის ხელმღძვანელი უფლებამოსილია ყოველი ასეთი შემთხვევა განიხილოს ინდივიდუალურად და მიიღოს გადაწყვეტილება მაგისტრანტის მიმართ შესაბამისი ღონისძიების გატარების შესახებ.

10. განაწესის დამრღვევი მაგისტრანტის მიმართ გამოყენებული ღონისძიების სახე შეიძლება იყოს : ა. აკადემიური მოსწრების ქულის დაკლება. ბ. პრაქტიკული კურსის ფარგლებში დამატებითი სამუშაოს დავალება.
11. აღნიშნული ღონისძიებების სახეს და ფარგლებს კურსის ხელმძღვანელი განსაზღვრავს ინდივიდუალურად საკუთარი შეხედულებისამებრ, განაწესის დარღვევის სახეობისა და ხარისხის შესაბამისად.
12. მაგისტრანტები ვალდებულნი არიან დაემორჩილონ უნივერსიტეტში ზოგადად მიღებულ შინაგანაწესს.
13. უნივერსიტეტის შინაგანაწესის დარღვევისათვის მაგისტრანტები პასუხს აგებენ უნივერსიტეტში დადგენილი საერთო წესის მიხედვით.
14. მაგისტრანტის მიერ პრაქტიკული კურსის არჩევა გულისხმობს, რომ იგი გაეცნო და სრულად ეთანხმება წინამდებარე სილაბუსში მითითებულ ყველა დებულებას და კისრულობს მათ განუხრელ შესრულებას. ხოლო რომელიმე დებულების დარღვევის შემთხვევაში იგი ემორჩილება მის მიმართ გამოყენებულ ღონისძიებას.
15. სამართლის კლინიკის ხელმძღვანელს, კლინიკის მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე საჭიროების შემთხვევაში უფლება აქვს შეიტანოს დამატებები და ცვლილებები წინამდებარე სილაბუსში, რომლებიც მაგისტრანტებისათვის სავალდებულოდ შესასრულებელი გახდება მათი დადგენილი წესით გაცნობისთანავე.